№ 104
ოთხშაბათი, 16 მაისი, 1901 წ.

1877—1901

ივერია

№ 104
ოთხშაბათი, 16 მაისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

	მან. კ.		თვე		მან. კ.
თვე	10 —		6		6 —
12	9 50		5		5 50
11	8 75		4		4 75
10	8 —		3		3 50
9	7 25		2		2 75
8	6 50		1		1 50
7					

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“-მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20-სა და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოდოევაზის ასულის ჯავჯავაძისასთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტელარიაში“, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა ქრებულში.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 1901 წ.

გამოფენა დაიწყობა ტფილისში 20 აგვისტოს და შემდეგი განყოფილებანი ექმნება:

1, მიწად-მოქმედება.
2, მევენახეობა და მეღვინეობა.
3, საბაღე და საბოსტნე თესლეულობა, სანერგეები და ნერგები.
4, დეკორატიული ბაღოსნობა.
5, ხეხილის მოშენება და მებოსტნეობა.
6, ტყის მოვლა-მოშენება.
7, შინაური საქონელი და ფრინველი.
8, მერძეობისა და საქონლის მოვლა-მოშენების ნაწარმოებნი.
9, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.
10, მეთევზეობა და მონადირეობა.
11, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანები.
12, შინა და სახელოსნო მრეწველობა.
13, საქარხნო მრეწველობა.
14, სამთო მრეწველობა.
15, საპედაგოგიო-საპროფესიონალო განყოფილება.
16, სამეცნიერო-სასტატისტიკო განყოფილება.
17, სამეცნიერო-სამოსწავლო განყოფილება.
18, სამხატვრო განყოფილება.

ბიურო გამოფენისა და კომისარიატის კანცელარია იმყოფება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, და ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

პირის-პირ მოსალაპარაკებლად გამოფენის კომისარი მიიღებს მსურველთ კომისარიატის კანცელარიის ბინაზედ. (10—6.—8)

საზაფხულო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საშხეპებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხდონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზედა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—14)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი სვიმონ გედევანიშვილისა, № 21 (გორჩაკოვის ქუჩის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით: ე. ი. ზედგინიძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ს. მულიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ს. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი—საქირურგო—$12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 ს

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ს. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მადალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გველიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან მყოფი პოლკოვნიკი გაბაშვილი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიის 1-ლ მსროლელთა ბატალიონის კამანდირად.

ებოძათ: წადგორნი სოვეტნიკობა სმოლენსკისა, ვიტებსკისა და მოგილევის გუბერნიების ტყის რევიზორს თავ. სუმბათაშვილს.

დანიშნულ იქმნა სამკურნალო დეპარტამენტის მოხელე, დოქტორი მედიცინისა შენგელიძე ს.-პეტერბურგის სამადლო სახლის მკურნალად.

შემოწირულობა

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ნინო ნიკოლოზის ასულმა გერიხმა ვერცხლის ბროშკა, ორი სპერანგი, გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილმა, ძმათა დამიტრი და გიორგი ჯმუხაძეებმა საგერავი მაშინა, 8 ჭერანგი, ორი შალვარი, ოდხი უაბალახი, ხუთი წყვილი უმწვილის ბაშმაკები. კნ. ნინო სვიმონის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის თოხსნობით შეკრებილი: გ. ს. მიასნიკოვმა 5 კარობკა გიდზი, მ. ო. ობზმიროვმა, ს. მ. ლაზარევისამ სამი უუთი სხვა-და-სხვა ჭადლდი, ორი საწერი, ორი კარობკა კარანდაში, 4 ჭენდი, 4 ბავშვის წიგნი; მან. მაიზელსონმა ბროშკა, მედალიონები, ორი ჭორტმანი; ეკონომიის საზოგადოებამ—ბუა, 1 წინ ასაფარებელი შალისა, 3 ჩითისა და 2 ქამარი.

ახალი ამბავი

*** გაზეთ „კავკაზში“ შემდეგია დაბეჭდილი: „5 მაისს ქუთაისის საქალაქო თეატრში, პიესის „კონდრაბან დისტების“ წარმოდგენის დროს, ცხრა სტუდენტმა ხმაურობა ასტეხა, რომლითაც ხელი შეუშალეს წარმოდგენის გაგრძელებას, ამასთავე ვიღაცამ ხალხში ისროლა კვერცხი, რომელიც ქუთაისის პოლიცმეისტერს მოხვდა. შემდეგ რამდენისამე გაფრთხილებისა, რომ ხმაურობა შეეწყვიტად, უწესოების დამწყობნი პოლიციის განკარგულებით თეატრიდგან გაიყვანეს. მაშინ ბრბომ, ხელად შეკრებილმა თეატრის წინ, დაახლოვებით 1000 კაცმა, რომელთაც თეატრიდგან გამოყვანილნი აქეზებდნენ, ასტეხეს საშინელი ხმაურობა, სტვენა, ყვირილი; უწესოება იქამდე გაძლიერდა, რომ ბრბოს ერთმა ნაწილმა, ისარგებლა რა სიბნელით, შეუხვია ქალაქის ბაღში და იქიდგან დაუწყო ქვის სროლა თეატრის მახლობლად მდგომ ჯარისკაცებსა და დარაჯებს. ამის გამო, პოლიცმეისტრის განკარგულებით გამოწვეულ იქმნა ყაზახთა პირველ ხოპერის რაზმის 50 ჯარის-კაცი, რომელთა დახმარებით და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ-ს თანამდებობის აღმასრულებელისა დი ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის თანადასწრებით უწესოება შეწყვეტილ იქმნა. ადგილობრივ შედგენილი ოქმი დაპატიმრებულებთან ერთად გარდაეცა ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს.

„უწესოების დროს 15 ჯარის-კაცი, 13 დარაჯი და პოლიციელი დაშავებულ და დაჭრილ იქმნენ ქვებით; ჰსუბუქად დაიჭრნენ ხოპერის რაზმის ორი აფიცერი, ესაული ნეკრასოვი და ასისთავი რიაბიხი“.

*** 14 მაისს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის დღეს, ტფილისის თითქმის ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. სამხედრო ტაძარში წირვას დაესწრნენ კავკასიის უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

*** 13 მაისს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა, საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ აკურთხა ვერაზედ, ყორღანოვის ქუჩის ბოლოში, იოანე ღვთის-მეტყველის ეკკლესია. კურთხევას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი, იმისი თანაშემწე, გუბერნატორი და სხვანი.

*** კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამმართველმა კომიტეტმა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ გამოფენის გასამართავად საჭიროა 104,600 მ., ხოლო გამოფენის შემოსაღალი 89,000 მანეთზედ მეტი არ იქნება და რადგანაც შეუძლებლად იცნო ხარჯის შემცირება, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მთავრობამ გადასდვას ის 15,600 მან., რომელსაც დეფიციტად მოელის გამოფენის კომიტეტი. ამ დადგენილების შესახებ ამ დღეებში უკვე ეცნობა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელსაც ეს დადგენილება გუშინ, 15 მაისს, საღამოს უნდა განეხილა.

*** ამ დღეებში ტფილისში დაიწყობა სახელმწიფო რკინის გზის მოძრაობის უფროსთა კრება სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად. დღეს, 16 მაისს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ ბალაჯარიდგან ჩამოვლენ ამ კრების წევრნი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მიწერილობა გაუგზავნა რკინის გზის სადგურების უფროსებს იმის შესახებ, რომ, რკინის გზაზე უბილეთოდ ხალხის მოგზაურობის ასაცილებლად, უსათუოდ სადგურიდგან მატარებელში შესვლის დროს ბილეთები მოეთხოვოს ხოლმე მგზავრებს.

*** საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოს დაუდგენია მიიღოს ღონის-ძიება, რომ ქალაქ ტფილისის სამრევლო-საეკკლესიო

სკოლების შესანახი ხარჯი გადადებულ იქმნას ეკკლესიების შემოსავლიდან, ან სხვა წყაროდგან, რადგანაც საბჭოს არ ჰყოფნის თანხა ამ სკოლების შესანახად; სთხოვოს ტფილის ქალაქის გამგეობას, გადასდოს ამ სკოლებისათვის სუბსიდია 6000 მან. წელიწადში; სთხოვოს საქართველოს ექსარხოსს, შუამდგომლობა აღძრას უწმ. სინოდის საწვავლებელთა საბჭოს წინაშე ზემოხსენებულ სკოლებისათვის ღამატებითის ფულის გადადების შესახებ.

** საერო განათლების სამინისტროსთან შემდგარი განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში განზრახულ რეფორმის საქმის განხილვა აქვს მინდობილი, აგვისტოს გასულს შეუდგება მუშაობას.

** ბათუმი უკვე გაუნათებიათ ელექტროენით, დაწესებულ იქმნა მოსამსახურეთა შტატი. ელექტროენით განათების საქმეს ამ ახლო ხანში ჩაიბარებს ბათუმის ქალაქის გამგეობა.

** როგორც ოზურგეთიდგან გვატყობინებენ, იქ 9 მაისს გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის“ წარმომადგენელ წევრთა ერთა ჩვეულებრივი კრება მომხდარა. კრებას, რომელსაც 50 წარმომადგენელთაგან დასწრებია მხოლოდ 15, განუხილავს და დაუმტკიცებიათ შემდეგი საგნები: 1) მიღებულ იქმნეს სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში; 2) არჩეულ იქმნენ ზედამხედველ კომისიის წევრებათ: თავ. ერმილე ნაკაშიძე, მკურნალი ივ. თიკანაძე, იაგორ ჭელიძე, სპირიდონ მენაბდე, ვასილ სოფრომის ძე ხუნდაძე, კონსტანტინე იმნაძე და ივანე ებრაელიძე; 3) სარევიზიო კომისიის წევრებათ: მკურნალი გ. კ. პოლოშვილი, დ. ს. გუგუნავა, ექ. ვასაძე, ივ. ჯაყელი, ნესტორ მხეიძე, კირილე წილოსანი და აზ. ნიკო ჟორდანია; 4) გამგეობის წევრათ დატოვებულ იქმნა მმართ. ს. ჭეიშვილი, ხოლო თ. კიკვაძისა და გაბრიელ შაკისაშვილის მაგიერ არჩეულ იქმნენ ბბ. თაყაიშვილი და დათეშაშვილი; 5) ამხანაგობის მმართველ სოლ. ჭეიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრება კრებამ, სარევიზიო კომისიის წინადადებით, უკანონოთა სცნო და დაავალა მას საზღვარ-გარეთ წასვლაზედ გაწეული ხარჯი (691 მან.) უკანვე დაუბრუნოს ამხანაგობასა: კრებამ გასტანა 10 მაისამდე და ბოახდინა სულ სამი სხდომა.

** ამ რამდენისამე ხნის წინად ქალაქის სასწავლებელთა კომისიის წევრმა ბ-ნ ლისიციანმა ლაპარაკი აღძრა ქალაქის სასწავლებელთა პედაგოგიურ მუზეუმის დაარსების შესახებ. ამ საგნის განსახილველად კომისიამ დღეს, 16 მაისს, საღამოს 8 საათისათვის მოიწვია ქალაქის სასწავლებლების ყველა გამგენი.

** დღეს, 16 მაისს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს სხვა-დასხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

** კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის კომისარს მრავალი ცნობები მოსდის კავკასიის ყველა კუთხის სხვა-და-სხვა კაცთა და დაწესებულებათაგან, რომელნიც, მოწოდების თანახმად, გამოფენაზედ ექსპონატების გამოგზავნის სურვილს აცხადებენ.

** დღეს, 16 მაისს, 7½ საათზედ, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი კრება. სხვათა შორის კრებამ უნდა განიხილოს ორი საყურადღებო მოხსენება: პირველი—ადგილობრივს ენებზედ სამკურნალო-საჰიგიენო წიგნაკების დაბეჭდვისა და გავრცელების შესახებ და მეორე—ქ. ტფილისში რძის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.

** 5 მაისს სოფელ კარდენახში დიდი სეტყვა მოსულა და ქარიშხალი ამოვარდნილა. სეტყვასა და ქარიშხალს მეტად დაუზარალებია ვენახები და ბაღები.

** შაბათს, 19 მაისს, ქალაქის საბჭოს დარბაზში აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელი საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა კრება მოხდება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად.

** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ სანოვაგის დამტარებელ ვაგონების მოსპობის გამო ამ გზის მოსამსახურენი დიდს გაჭირვებას ითმენენ თურმე. ამისათვის რკინის გზის უფროსს საჭიროდ უცვნია ყოველს სადგურში, სადაც სანოვაგე არ იშოვება, დანიშნოს სანოვაგის დამტარებელნი.

** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მთავრობას აზრადა აქვს შავის ზღვის პირად კავკასიაში რკინის გზა გაიყვანოს. გადაუწყვეტიათ წელსვე შეუდგნენ იმ ადგილების დაწვრილებით გამოკვლევას, სადაც რკინის გზა გაივლის.

** შუამდგომლობაა აღძრული პეტერბურგში სომხურის გაზეთის გამოცემის შესახებ.

** ამა მიმდინარე წელს ტფილის-ბორჩალოს მაზრების სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შესანახად გადადებულ იქმნა შემდეგი თანხები: ახალ-სოფლისა, დიდ-ლილოსა, ბერთ-უბნისა, წავკისისა და მარინეს სკოლებისათვის—თითოს 240 მან., მარტყოფისა, ნაძალადევის უბნისა, ვერისა, კუკიის ნიკოლოზისას, თითოს—300 მან., დიღმისას—150 მან., ნინოწმინდისა, კოლოუბნისას—თითოს 120 მან., მამადავითის სკოლისათვის—200 მან., ავჭალისა—450 მან., ხარფუხის 5 სკოლისათვის—1692 მან., და ნავთლუღის სკოლისათვის—120 მან.

** მცხეთის საკრებულო ტაძრის აღმადგენელ კომიტეტს უკვე შეუდგენია დასურათებული წიგნი: „მცხეთის ტაძრის არქეოლოგიურ-ისტორიული აღწერა“. ეს წიგნი გამოცემული იქმნება საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულისათვის.

** „С.-Петерб. Вѣд.“-ი სწერს: კავკასიაში სამხედრო უწყების ისეთი მოხელე არ არის, რომელსაც არ გაეგონოს ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის უფროსად ნამყოფის თავად ამილახვრის სახელი. 1877—78 წელს ოსმალეთთან ომის დროს თავი. ი. გ. ამილახვარი კავალერიას უფროსობდა და ამ კავალერიასთან ერთად რამდენჯერმე ისახელა თავი; სხვათა შორის იმას მიანდვეს ბაიაზეთის მეციხოვნეთა განთავისუფლება. 1893 წელს თავადი დანიშნულ იქმნა კავკასიის ჯართა კორპუსის უფროსად, ხოლო ექვსის წლის შემდეგ, ავადმყოფობისა გამო, დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობიდგან. ამავე დროს კორპუსში მოსამსახურეთ განიზრახეს რითმე პატივი ეცათ თავადისათვის. ამ აზრით შესდგა კომიტეტი, რომელმაც გადასწყვიტა მიართვას თავადს ქანდაკება და სისრულეშიაც მოიყვანა ეს განზრახვა. ქანდაკება წარმოადგენს ცხენზედ მჯდომს თავად ამილახვარს. ჩამოსხმულია ეს ქანდაკება ვერცხლისაგან. ცალ მხარეს ამოჭრილია ამილახვართა საგვარეულო ღერბი, ხოლო ქვევიდგან აწერია: „ივანე გივის ძე ამილახვარს, სახსოვრად კავკასიის კორპუსის უფროსობისა 1893—1897 წ თანამოსამსახურეთაგან“.

** ქუთაისის საგუბერნიო ბეითალი გეორგიზონი გადაუყვანიათ იქმნა ქალაქ ვლადივოსტოკში, ხოლო იმის ადგილას დანიშნულ იქმნა ბაქოს საგუბერნიო ბეითალი ხოჯტონი.

** 9 მაისს წმ. გიორგის სახელობის მოწყალების დათა საზოგადოებას ჰეტერბურგში ჰატივი უცია თავის საჰატიო წევრის თავ. ი. ა. ნაკაშიძისათვის, რომელსაც 25 წელიწადი შეუსრულებია ამ საზოგადოებაში სამსახურისა. ჯერ წირვა და ჰარაკლისი გარდაუხდათ, ხოლო შემდეგ ადრესები წაუკითხნიათ. იუბილეს დასწრებიან საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. სოლსკაია, გრაფინია გეიდენი, გრაფინია შერემეტიევისა, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი გ. ნ. კოკოვცევი, ჰროფ. ჩისტოვიჩი და მრავალი სხვანი. იუბილიარისათვის მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიურთმევიათ.

** კვირის ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ ჰანაშვილი ეგ. ნინოშვილის სულის მოსახსენებლად 14 მაისისათვის არის დანიშნულიო. ჰანაშვილი დანიშნულია 20 მაისისათვის.

** წელს კავკასიაში ცხენების გამოფენა დანიშნული იყო ორს ადგილას: ტფილისსა და ახალქალაქის მაზრის სოფ. გარედოგაში. 6 მაისს გარედოგაში უკვე იყო ცხენების გამოფენა, ხოლო ტფილისში ცხენების გამოფენა გადადებულ იქმნა შემოდგომამდე.

** როგორც „ახ. მიმ“-ს ახალქალაქიდგან დეპეშით ატყობინებენ, 12 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას გაურჩევია საქმე სოფ. ჰატარა სომხრის 25 მცხოვრებისა, რომელთაც მთავრობის მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ. უველანი გაუმართლებიათ სამის კაცის გარდა, რომელთაც 7 დღით დაჰატიმრება გარდაუწყვეტიათ თურმე.

** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, 12 მაისს, შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს დარბაზში გ. ფ. ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონია ჭიათურის საერთაერთო ნდობის საზოგადოების დამაარსებელ წევრებს. კრებას, სხვათა შორის, დაუდგენია: მოსპობს ახალ წევრთა მიღებას ბანკის მისაღებ კომიტეტის არჩევნებამდე და სთხოვოს შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს შეადგინოს ბანკის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა.

** განსვენებულის გ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ შეუწირავთ ორასი მანეთი ნიკოლოზის სასწავლებლიდგან დათხოვნილ მოსწავლეთა სწავლის ფასის გასასტუმრებლად. ამ ფულით გასტუმრებულ იქმნა 25 ბავშვის სწავლის ფასი (რვა-რვა მანეთი ნახევარი წლისა).

** მიწად-მოქმ. ქსხელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკ. რწმუნებულს წარუდგენია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კომიტეტისათვის სია იმ მოსამსახურეთა, რომელთათვისაც დაუვალებია ბ-ნ რწმუნებულს, გაავრცელონ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ზემოხსენებულის კომიტეტის შესახებ სწორი ცნობები და დაეხმარონ მცხოვრებთ ამ კომიტეტში მონაწილეობის მიღების საქმეში. ამ სიაში მოხსენებულნი არიან, სხვათა შორის, ვაწაძე, ქიქოძე და ჯაფარიძე—ქუთაისისათვის, ჩიგაძე და ბახტაძე—უგირიდისათვის, იოსელიანი—ცხინვალისათვის, ჯიჯინაძე—უბისათვის, ვახნაძე—შამახიისათვის და ჯორჯოლაძე—გუმბრისათვის.

** ოზურგეთი. მთელი ორი კვირა ჩვენკენ ერთთავად ცუდი ამინდები და სიცივეებია. სოფლის ხალხი იძულებული შეიქმნა მიწის ყოველივე მუშაობა შეეწყვიტა. აბრეშუმის ჭიის გამოკვებასაც ხელი დიდად შეუშალა სიცივეებმა და ხარკის კარგი მოსავლის იმედი ჩვენს მეაბრეშუმეებს შესამხნევად შეუმცირდა. წელს მთელს გურიაში ორჯერ და სამჯერ მეტი აბრეშუმის თესლი იყო გასაღებული, მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ ბოლოს (თუთის) ფურცელი სამყოფი იყოს და უველას გაჰხვდეს.

** 2 მაისს ხოლიციის მე-5 ნაწილში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ მცხოვრებ რაბინის მეუღლემ ც. დ. დეგინიასმ განაცხადა, რომ ჩემთან კიდევ კიტმა მოიყვანა ხატარა ბავშვი და მითხრა, მოსამსახურედ ხომ არ დაიეენებთო. დეგინას მართლა სდომებია მოსამსახურე და ბავშვის მიმეყვანა სასტუმრო ოთახში დუტოვებია, ხოლო ბავშვი სამზარეულოში შეუყვანია, რომ ეჩვენებინა მასთვის, თუ რა საქმე ექნებოდა მას გასაკეთებელი. სასტუმროში დეგინისას სტოლზედ დარჩენოდა 6 მან., რომელიც აედო უცხო კაცს, დაბრუნებისას ბავშვი მაღე გამოეყვანა და სადაც უცბად მიმალულიყო. ხოლიციის ბოქაულს ქურდის დაჭერა მიუნდვია ხოლიციის მოხელის მახვილ-ძიებისათვის, რომელმაც 12 მაისს, ხოლიციის მე-4 ნაწილში, შეაპურო ქურდი და წარუდგინა დეგინისას, რომელმაც მაშინვე იცნო თავისი ფულების ქურდი. ქურდი აღმოჩნდა განჯის გუბერნიის მცხოვრები ტიგრანა სავრიანცი, რომელიც ჰასუხის გებაში იქმნა მიცემული.

** ორშაბათს, 14 მაისს, პოლიციის მე-6 ნაწილში ათამა-ისმაილ-ოღლის ყავახანაში, ვორონცოვის ქუჩაზედ, ჩხუბი ნოსელიათ ერთმანერთთან მიქაელ-აკპერ ოღლისა და სპარსეთის ქვეშევრდომს კარაპეტა მხითაროვს, რომელიც პირველს დაუჭრია მარჯვენა გვერდში დანით ორგან. დამნაშავე დაპატიმრებულ იქმნა, ხოლო მხითაროვი გაიგზავნა მიხეილის სამკურნალოში შემწეობის აღმოსაჩენად. გამოძიება სწარმოებს.

** შაბათს, 12 მაისს, ღამით, მიხეილის პროსპექტზედ, პოლიციის მეათე ნაწილში, მოდიოდა თურმე მთვრალი ტფილისის მცხოვრები კარაპეტა გომელოვი, რომელსაც წამოსწევია ცხენის რკინის გზის ვაგონი და დაუშავებია. გომელოვს სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინა.

** სადგ. გორი. 13 მაისს მატარებელ № 20-იდან მე-221 ვერსტზე ჩამოვარდა ხიდის-თავის მცხოვრები, 13 წლის ბავშვი, გიორგი ლაზარაშვილი. ბავშვს თავი გაუტყდა. ავათმყოფს პირილობა ადგილობრივ შეუხვიეს და ტფილისის რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ ლაზარაშვილი გზაში გარდაცვალებულა.

** სადგ. ქურდამირი. 14 მარტს ქურდამირის სადგურზე არტელის მეურზურაბ ბუღიაშვილი იდგა ვაგონების ახლო. როდესაც მატარებელი № 188 დაიძრა, ბუღიაშვილს ვაგონზე ასასვლელი საფეხური წამოედო და ვაგონს ქვეშ ჩავარდა. ვაგონის თვლებმა ორივე ფეხები მოამტვრიეს და ბუღიაშვილი ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

** სადგ. ბაქო. 14 მაისს ორთქლმავალში ცეცხლის ანთების დროს გახმა იფეთქა და მემანქანის თანაშემწეს სპიროის პირის სახე დაეწვა. სპიროი ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს მოსარჩენათ.

ნარკვევი

(ყდრონალ-გაზეთებიდგან)

როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, დამსახურებულ პროფესორს ი. ი. ფოინიცკის პეტერბურგის უნივერსიტეტის საპენსიოთ გარდაუცია უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმის პროექტი, რომლის უმთავრესი მუხლებიც შემდეგია თურმე:

„უნივერსიტეტი უმაღლესი საბელმწიფო სასწავლებელია, რომელიც ექვემდებარება პირდაპირ საერო განათლების მინისტრს. სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ საუნივერსიტეტო საქმეებში. პროფესორებს, დეკანებს და უნივერსიტეტის რექტორს ირჩევს საბჭო კენჭის ყრით იმ კანდიდატთაგან, რომელთაც ფაკულტეტი დაასახელებს, ხოლო ამტკიცებს მათ მინისტრის წარდგენილობით ხელმწიფე იმპერატორი. სწავლა უნივერსიტეტში უნდა სწარმოებდეს იმ გეგმებზედ, რომლებსაც ფაკულტეტები და საბჭო შეიმუშავებენ. ეს გეგმები უნდა წარედგინოს საერო განათლების მინისტრს. სტუდენტებს ნება ექმნებათ შეადგინონ ურთ-ერთ დამხმარებელი კავშირები და სამეცნიერო საზოგადოებანი, ყოველ კავშირისა და საზოგადოების დაარსება უნდა ეცნობოს რექტორსა და დეკანს, რომელნიც ნებას დართამენ, თუ საგანი კავშირისა ან საზოგადოებისა არ ეწინააღმდეგება კანონს. ფაკულტეტის და კურსის სტუდენტები ირჩევენ თავიანთ შორის სტაროსტას, 50 კაცი ერთს. ამ სტაროსტათა საბჭომ, ერთ-ერთის პროფესორის თავმჯდომარეობით, უნდა განიხილოს ხოლმე სტუდენტთა წვრილმანი საქმეები. ამავე საქმეების განსახილველად რექტორის ნება-რთვით საბჭოს შეუძლიან მოახდინოს სტუდენტთა კრილობანი. კრილობებმა უნდა განიხილოს მხოლოდ ის საქმეები, რაც სტუდენტთა ცხოვრებას შეეხება. თუ კრილობა სხვა საგნების განხილვას შეუდგა, დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს. თუ ამის შემდეგ კიდევ მოხდა კრილობა, ეს საქმე საუნივერსიტეტო სასამართლომ უნდა განიხილოს. ლექციების კურის-გდების და ეგზამენებისათვის სტუდენტებს შეუძლიათ გადაწყვეტილი ფული, რომლის ნაწილიც უნივერსიტეტის პროფესორთა მდგომარეობას გაუმჯობესებასა ჰხმარდება. სტუდენტთა დანაშაულობანი უნდა განიხილოს ხოლმე ამხანაგთ და პროფესორთა სასამართლომ. სტუდენტთა რიცხვის შემცირება ამა თუ იმ უნივერსიტეტში და აგრეთვე იმის განსაზღვრა, ამა თუ იმ ადგილის სასწავლებლებში დამთავრებულნი უეჰველად ერთს რომელსამე უნივერსიტეტში წავიდნენ, სასურველად არ უნდა იქმნას ცნობილი“.

რუსეთი

9 მაისიდგან ჰეტერბურგის ქუჩებში, ქალაქის უფროსის განკარგულებით, გაკრულია თურმე შემდეგი განცხადება: „1) ჰეტერბურგსა და იმის მახლობლად

მდებარე ადგილებში ხანჯლებისა და სხვა იარაღის, აგრეთვე ეგრედ წოდებულ „ფიანურ“ დანების ტარება, თუ ხელობის ან საქმე არ მოითხოვს ამას, აკრძალულია; 2) აკრძალულია გაუიდვა და ხმარება ყოველ გვარ ქვის სასროლ რეზინებ გადაჯრულ ორთითებისა; 3) ვინც ამ განკარგულების დარღვევს, ის ადმინისტრატიულის წესით დაჯარიმებულ იქნება 500 მან., ან დაპატიმრებულ 3 თვის ვადით“.

— მოწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება-რთვით, სამთო ინსტიტუტის საბჭო შეუდგა იმის განხილვას, თუ უმაღლესს სტუდენიკო სასწავლებლების პროგრამებში რა ცვლილებათა მოხდენაა სასურველი.

— კიევის უნივერსიტეტის პროფესორს ანტონოვიჩს შეუმუშავებია სასკოლო კავშირთა ნორმალურ წესდების პროექტი. ამ კავშირებს აზრად ექმნებათ საშუალო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებლების დარსება და შენახვა. პროფ. ანტონოვიჩს აზრი აქვს გამოთქმული პროექტში, რომ სახელმწიფოს არ შეუძლიან დააკმაყოფილოს უველა მცხოვრებთა სწავლის წეუნრველი, ამიტომ სასურველია თვით მცხოვრებთ მიეცეთ ნება სწავლის საქმის მოწეობა-მორიგებისაო.

— 9 მაისს პეტერბურგში პირველი კრება ჰქონია ადმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოებას. როგორც მკითხველებმა უწეიან, ეს საზოგადოება ამ ცოტა ხანში იქმნა დარსებული. საზოგადოებს ჯერ-ჯერობით ოთხი განყოფილება აქვს: ტფილისსა, ტაშკენტსა, ბუხარასა და ასტრახანში. საზოგადო კრებას, სხვათა შორის, სპეციო წევრად კავკასიის მთავარ-მართებელი თვ. გ. ს. გოლიცინი ირჩევა.

— სახელმწიფო რკინის გზებზედ მოსამსახურე გზის ხელოსნით (дорож. мастера) შუამდგომლობა ადუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე მათის ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობის და აგრეთვე მათსა და უფროსებს შორის დამოკიდებულების გაწესრიგების შესახებ. ხელოსანნი შუამდგომლობაში ამბობენ, რომ ჩვენი უფროსები, ინჟინრები, მუტად ცუდად გვექცევიან, „უნობით“ გველაპარაკებიან და ხშირად უპატიურადაც გვიხსენიებენო. ამის გამო უმაღლეს მთავრობას გამოუცია ცირკულარი, რომლითაც იგი ჰკიცხავს უფროსთა ასეთ ქცევას და უზრდელად მოპურობას.

— ფინანსთა სამინისტრო შემოდგომაზედ განიხილავს პროექტს ხელოსანთა და შინა მრეწველთათვის განსაკუთრებულ საგრედიტო დაწესებულებათა დაარსების შესახებ.

— სამხრეთ რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მეფუტკრეობის პრაქტიკულ სკოლის დარსების შესახებ კიევის მახლობლად მიწად-მოქმედების სამინისტროს შეუწონარებია ეს შუამდგომლობა.

— ფინანსთა სამინისტროს მეცადინეობით პეტერბურგში არსდება საკომერციო კურსები. ამ კურსებზედ მიიღებენ საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ. სწავლის ვადა ორი წელიწადი იქნება. გათავებულთ მოწმობანი მიეცემათ, რომლის ძალითაც უფლება მიეცემათ ამ ხელერიის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში ამ საგნების სწავლებისა, რომლებსაც კომერციასთან კავშირი აქვს. მიიღებენ სასწავლებელში თავისუფალ მსურველებსაც.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ცოტა ხანში შეუდგება საკითხის ბავშვთა მფარველობის შესახებ განხილვას. ცნობილია ეს ბავშვები დაიცვან თეატრებისა, ცირკებისა და ბაღების პატრონთა თვით-ნებობისა და ძალადობისაგან.

— უკანასკნელ ტირაჟის დროს 200 ათასი მანეთი ჰრგებია მოსკოვ-იაროსლავ-არხანგელის რკინის გზაზედ მოსამსახურე ქალს ქ-ნ პროკოპიევისას. ამ ქალს თეკში 35 მანეთი ჯამაგირი ჰქონდა.

— როგორც ამას წინად დეპეშაში იყო მოხსენებული, მოსკოვში 2 მაისს გაირჩა საქმე მკურნალის შატულოვსკისა, რომელსაც ბრალდებოდა პენიევსკის ქალის მოტყუება. პენიევსკის ქალს შემდეგი ჩვენება მიუცია მოსამართლეთათვის: „მიველ შატულოვსკისთან და უთხარი: სიცოცხლე მომბეზრდა და თავის მოკვლა მსურს, შეგიძლიანთ მომცეთ თქვენ ისეთი შხამი, რომ უტანჯველად მოვკვდე-მეთქი?—„შემიძლიანო“.—რა ღირს?—„სწორედ 25 მან.“ კარგი, მომეცით! შემდეგ პენიევსკისას გამოურთმევია „შხამი“ და გაუხსნია როდიკიული, რომ ამოეღო 15 მან., მაგრამ შატულოვსკის გამოუტაცნია ხელიდგან მთელი დასტა ფულებისა და უთქვამს: „თქვენ ხომ უნდა მოკვდეთ, ფული რათ გინდათ, ხოლო მე დამჰპირდებაო“. პენიევსკის ქალი წასულა, მისულა შინ, დაულევია შხამი, მაგრამ მეორე დღეს სრულიად უვნებლად ამდგარა. გაჯავრებული ქალი წასულა კვლავ შატულოვსკისთან ვექილ ურიაროვთან ერთად და შატულოვსკის ხელახლად შეუძლევია მეორე შხამი, მაგრამ ქალს უარი უთქვამს და ფული ეკანვე მოუთხოვნია. შატულოვსკი „ჯერ უარზედ მდგარა, მაგრამ მერე დაუბრუნებია 700 მან. და დანარჩენი სასყიდლად დაუტოვებია. სასამართლოს შატულოვსკისთვის ჩამოურთმევია მკურნალობის უფლება, ყოველივე უფლება და 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვეტია.

შტროეთი

ჩინეთი. პეკინიდგან სწერენ „Marning Post“-ს: „სინანფუდგან მოსული ჩინელები ჩივიან, რომ სასახლეში ნამდვილი ძარცვა-გლეჯაა გავრცელებული. იუნფ-დულუ-ხუენლინი და ლი-ლიენ-ლინგი პროვინციებიდგან გამოგზავნილ შემოსავლის ნახევარს თვითონ ისაკუთრებენ.

სინანფუში ამ ჟამად ნამდვილი ვაჭრობაა ადგილებისა გაჩაღებული; ამის გამო ქალაქში აუარებელი მოხელეები არიან თავ-მოყრილნი. სამეფო სახლობას პეკინში დაბრუნება სრულიადაც არა აქვს აზრად და არც ცვლილებაზედა ფიქრობს ვინმე.

პეკინში ამ ჟამად დიდი ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, თუ დასასჯელად დასახელებულ მოხელეთაგან რომელი უნდა დაისაჯოს და რომელი არა, რადგანაც დასახელებულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არეულობის დროს თავისს სამსახურის ადგილას არა ყოფილან და, მაშასადამე, არც შეიძლება დანაშაულობის პასუხის გება მოსთხოვოს ვინმემ. ამის გამო ეშვი არ არის, დამნაშავე მოხელეთა სია ხელ-ახლად უნდა იქმნეს განხილული და შევსებული“.

— ბერლინიდგან დეპეშით აუწყებენ იმავე გაზეთს, რომ ჩინეთის მხრივ სახელმწიფოთა მოთხოვნილებაზედ თანხმობის განცხადებას ოფიციალური წრეები ფრიად საკეთილოდა სთვლიან, მაგრამ ჯარების გამოსაყვანად ვადის დანიშვნა-კი ჯერ-ჯერობით მაინც შეუძლებელად მიაჩნიათ, რადგანაც ადვილი მოსალოდნელია, გამოიყვანენ თუ არა ჯარებს, მაშინვე ხელახლად არეულობა მოხდება. რაც შეეხება გერმანიას, მისი ჯარების გამოყვანა სავსებით გრაფს ვალდერზეზეა დამოკიდებული.

—

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ამ დღეებში დორდის კიტჩენერის მიერ გამოქვეყნებულს ანგარიშში ჩამოთვლილია, თუ რამდენს ბურს რა მიზეზით დაუწყეს ინგლისელებმა ფერმები. ფაქტმა, რომელიც კიტჩენერმა ასე დაურიდებლად გამოაქვეყნა, მთელი ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა დიდად დააფიქრა და დააღონა. „Standard“-ი, მაგალითად, აი რას ამბობს ამის შესახებ:

„უველა იმ შემთხვევებიდგან, რომლებიც კიტჩენერმა გამოაქვეყნა თავისს ანგარიშში, შტატის სინანულისა და განკიცხვის დირსი არიან ის შემთხვევები, რომლისაც ინგლისელებს დაუწვავთ და დაუქცევიათ ფერმები, სადაც ბურების დედა-კაცები თურმე სცხოვრობდნენ და ამათი ქმრები-კი იმ დროს ინგლისელების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ოჯახის წარმომადგენელი კაცები ინგლისის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას იღებდნენ, ინგლისელებმა, მაგალითად, იანვარში გადასწვეს მთელი ვენტერსბურგი, ე. ი. ფერმები-კი არა, ქალაქის სახლები. გააგის სელშეკრულობით-კი ომის დროს ასეთი მოქმედება სასტიკად აღკრძალულია და საერთაშორისო უფლების მცოდნე უველა სპეციალისტებისაგანაც უარ-ყოფილი და გაკიცხულია. ავიღოთ, მაგალითად, 1814 წლის შემთხვევა: ევროპის მოკავშირე ჯარებმა დასწვეს განა პარიჟში თუნდაც პაწია გაკრის დუქანი იმისათვის, რომ მისი პატრონი იარაღ-ასხმული სფრანგეთის მებრძოლთა რაზმში მონაწილეობას იღებდაო?

„Star“ კიდევ შეჰნიშნავს, რომ კიტჩენერის ანგარიშის კითხვის დროს უველა ინგლისელი სირცხვილით დაიწვის და დასძენს ამას: „ნუ-თუ კიდევ საჭიროა დამტკიცება იმისი, თუ რა მიზნით ვიყავით წინააღმდეგნი ასეთის ომისა, რომელიც მთავრობამ ინგლისელების სახელით დაიწყო ბურების წინააღმდეგ? ახლა ხომ მთავრობა თითონაც ადარა ჰმალავს და ადიარებს, რომ ჩვენი საუველდური საფუძველიანი იყოო“.

— როგორც ბოლოხდელი დეპეშები იტყობინებიან, დეველტი ორანჟეს მდინარედგან ხელ-ახლად კაბის ახალშენში გადასულა და თანა აქვს თურმე ის ინგლისელების მიერ მრავალ-გზის მამხვრეული და გაუვარგისებული დიდი ზარბაზანი, რომელსაც ჩვენი მკითხველები დიდი ხანია „გრძელი ტომის“ სახელით იცნობენ. გარდა ამისა, კაბის ახალშენის სხვა-და-სხვა ადგილებში ამ ბოლოს დროს ბურების რაზმები უფრო ხშირ-ხშირად თურმე ჩნდებიან.

— პავიის უნივერსიტეტის სტუდენტებს თავისუფალ შეხვრთა რაზმი შეუდგენიათ და სამხრეთს აფრიკაში თურმე ჭეშავენიან ინგლისელების წინააღმდეგ სახბრძოლად. შაბერს, რომელიც ამ ჟამად ნატალის საზღვარზედ იმყოფება, 800 კაცი თურმე ჰყავს თან.

— ინგლისელების მხრივ უსამართლოდ მოპურობა არ აკმარეს სახბრძოლო ბურებს: როგორც „Morning Leader“-ს სწერენ ბერლინიდგან, ახლად გამოცემულს გეოგრაფიულს ატლასში, რომელიც პრუსიის გამნაზეების უმაღლესს კლასებშია სახელმძღვანელოდ მიღებული, ორანჟეს მდინარისა და ტრანსვაალის რესპუბლიკები ინგლისის სახელმწიფოსთან შეერთებულ ახალშენებად თურმე არიან აღნიშნულნი: პირველი მდინარე ორანჟეს ახალშენის სახელით, ხოლო მეორე—მდინარე ვაალის ახალშენის სახელით.

— შოტლანდიის ერთი ჟურნალისტი კრიუგერის შესახებ შემდეგს ამბავს მოგვითხრობს გაზ. „Westminster Gazette“-ში. კრიუგერი მაგიდასთან იჯდა და გვერდით „დაბადება“ ედვა. პირველ შეხვედრაზედ კრიუგერი სრულიად ჯანდრთითა და გონებით სავსესა და თავდაჯერებამდე სარწმუნოებით გატაცებულს შოტლანდიელ სოფლის მუშას წააგავს. კრიუგერმა ინგლისური არ იცის და თარჯიმანის ენით მელაპარაკებოდა. ინგლისელების წინააღმდეგ იგი სრულიადაც არ არის გაჯავრებული; კრიუგერის აზრით, ინგლისის ერი ბურების საქმეში მოტყუებულია მხოლოდ და სხვა არაფერი. ასე რომ, ამის გამო ინგლისელების წინააღმდეგ მტრობა წარმოსადგენადაც-კი შეუძლებელია. კრიუგერმა დედოფალი ვიქტორიაც დიდის თანაგრძნობით გაიხსენა და ჩამეკითხა—ომმა ხომ არ მოუსწრაფა სიცოცხლეო? კრიუგერს არა სჯერა, თუ დმერთი თავისს რჩეულს ერს დაიგვიწეებს და სასწაულად მიაჩნია ის, რომ 15,000 ბურმა 250,000 ინგლისელის წინააღმდეგ ამდენს ხანს მოახერხა გამაგრება. შოტლანდიელ ჟურნალისტის აზრით, ინგლისელებს სამხრეთს აფრიკაში ძლიერ საშიში მტრები ჰყავთ, რადგანაც ბურები სარწმუნოებრივი თვალსაზრისები არიან და აგრე ადვილად არ დასცხრებიან, ბრძოლას არ შესწეეტენ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამ ჟამად მოსკოვში მყოფ მილიონერის როდშილდის შესახებ გაზეთები შემდეგს გადმოგვცემენ. როდშილდი გულ-მოდგინედ ათვალიერებს თურმე მოსკოვს და აქაურ მილიონერთა დიდ შენობებს. ერთ ასეთ შენობის დათვალიერების დროს, როდშილდთან ქუჩაში ორი, დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გამოწყობილი, მაწანწალა მისულა. ერთს მშვენიერს ფრანგულს ენაზედ გაუბავს ლაპარაკი და უთქვამს როდშილდისათვის, დიდი სურვილი მაქვს თქვენგან სესხი ავიღო, გავიგე დიდ-ძალ ფულს აძლევთ სესხად სახელმწიფოებს და კერძო კაცებს, ამიტომ მეც თქვენ მოგმართეთ სესხისათვის; სულ 25 მანეთი მინდაო. როდესაც როდშილდს უკითხნია, ვინ უზრუნველ ჰყოფს ამ სესხსაო, მოსაუბრეს მეორე მაწანწალასკენ გაუშვერია ხელი და უთქვამს, აი ეს. ამ უკანასკნელსაც ჯენტლმენურად ფეხი-ფეხზედ შემოუკრავს და ამაყად წამოუძახნია, დიახ, მეო. როდშილდს ისე მოსწონებია ეს სცენა, რომ მართლაც მიუცია მაწანწალასთვის სესხად 25 მანეთი „ათის წლის ვადით“.

* * *

ბავარიის პრინცესას ლუიზას ქალთა ახალი საზოგადოება დაუარსებია. საზოგადოების ყველა წევრმა, წესდების ძალით, ქუჩაში უეჭველად მოკლე „იუბკა“ უნდა ატაროს. მიუნჰენში უკვე არსებობს თურმე ასეთი საზოგადოება.

* * *

ერთ ინგლისელ ქალს, რომელიც რამდენსამე წელიწადს ქალთა სატუსაღოს ზედამხედველად ყოფილა, გამოუცია ამას წინად თავისი „მოგონებანი“. მეტად საყურადღებო ამბებს მოგვითხრობს თავის წიგნში ეს მანდილოსანი დაპატიმრებულ ქალთა შესახებ. ქალებს მორთვა-მოპრანჭვა, გალამაზებ-გავშვენება საპყრობილეშიაც-კი არ ავიწყდებათ თურმე. თეთრეულს ვერ დაპატიმრებულნი ცდიობენ ფერ-უმარილის როგორმე შეძენას. ბევრი ოთახის კედელს ფრჩხილებით აფხეკავდა მელს და შემდეგ სახეზედ ისვამდნენ. ძალიან ანცვიფრებდა ზედამხედველს განსაკუთრებით ერთი დაპატიმრებული ქალი. ყოველ დილას ამ ქალს ფერ-უმარილ წასმულსა ჰხედავდა თურმე. ვერავის ვერ გაეგო, სად შოულობდა ეს ქალი ფერ-უმარილს. გაფაციცებით თვალ ყურის დევნება დაუწყიათ და, ბოლოს, აი რა გაუგიათ: იმ პერანგებს, რომლებსაც ტუსაღებს ურიგებდნენ, ეს ქალი წითელ შეღებილს ძაფებს აძრობდა, ამ ძაფებს დიდხანს წყალში ალბობდა და საღებავს ამზადებდა, რომელსაც შემდეგ სახეზედ ისვამდა. ახლად შესულთათვის ყველაზედ ძნელი ხელოვნურად გაკეთებულ თმების მოხსნა იყო. ასეთ თმების ხმარების ნებას სატუსაღოში არ აძლევდნენ. ქალები მწარედ სტიროდნენ თურმე, როდესაც გაკეთებულ თმას აცლიდნენ და საკუთარს თმაში სტოვებდნენ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 მაისი.

პეტერბურგი. ნოვგოროდის დრაგუნთა მე-28 რაზმს და ბელგოროდის დრაგუნთა მე-35 რაზმს, რომელთაც 200 წელიწადი შეუსრულდათ, ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ახალი დროშები საიუბილეო ლენტებით.

რადგანაც მუშათა არეულობის გამო დაბეჭდილს წერილში „ნოვოე ვრემია“-ამ დაარღვია 1896 წლ. 8 ივნისის და 1897 წ. 4 იანვრის წესები, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნას გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს გამოცემა ერთის კვირით.

პარიჟი. სენატის სამხედრო კომისიაში სამხედრო მინისტრმა გამოაცხადა, რომ სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადა შეამცირებს მხედართა რაოდენობას, ამიტომ ყოველგვარი შეღავათი მოსპობილ უნდა იქმნასო. ვალდეკ-რუსსომ დაუმატა, რომ საყურადღებო საგნის შესახებ ჯერ ამოვრჩევლებმა უნდა გამოსთქვან თავიანთი აზრიო. ამიტომ ფიქრობენ, რომ ეხლანდელი პალატა არ გადასწყვეტს სამხედრო ბეგარის ვადის შემცირებას. პატრიოტთა ლიგას და სხვა ნაციონალისტთა და ანტისემიტთა საზოგადოებებს ყრილობა ჰქონდათ, რომელზედაც წაიკითხეს დეროულედისა და მარსელ გაბერის სიტყვები. კენე-დე-ბორე-პერი მხურვალედ არწმუნებდა კრებას, თავი გაეთავისუფლებინა დღევანდელ მთავრობისაგანაო. შემდეგ ქუჩაში დემონსტრაციები მოხდა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაუპატიმრეს.

სოფია. საბიუჯეტო კომისიამ წარუდგინა საერო კრებას ბრალდებანი მინისტრების წინააღმდეგ; კომისია, სხვათა შორის, ბრალსა სდებს ივანჩოვს ყოფილს სამინისტროს კონსტიტუციის დარღვევისა და აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებისთვის ზარალის მიყენებისა გამო, რაც მტკიცდება იმით, რომ ერთმა უცხოელმა ფირმამ ძველი ეგონები გამოუგზავნა სახელმწიფო რკინის გზებს. მეორე ბრალდება მიმართულია მინისტრების რადო ლავოვის და ტენევის წინააღმდეგ და შეეხე-

ბა პურის საწყობების აშენების საქმეს.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს კრამარმა ჩეხების მხრით საზოგადოდ მოიწონა ავსტრი-ს პოლიტიკა ჩინეთში; მე თანახმა ვარ, სთქვა მან—სამთა კავშირისაც, თუ ამასთანავე არ-ფერი ევნება რუსეთთან დამოკიდებულებასაო; დანარჩენ საქმეებში მან გაჰკიცხა გარეშე პოლიტიკა და სთქვა, რომ ეს პოლიტიკა დამოუკიდებლად არ სწარმოებსო. პოლონელმა ძედუშიცკიმ უსაყვედურა გერმანიას პოლონელების წინააღმდეგ ძალმომრეობისათვის. ნემეცთა საერო დასის წევრმა პომმერმა იკითხა, რამდენად მართალია გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობები, ვითომ იტალიასთან დამოკიდებულება იცვლება და სამთა კავშირი ირყევაო. ორატორმა უსაყვედურა მთავრობას ინგლისის ყოველივე სურვილის აღსრულებისათვის. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გოლუხოვსკიმ..

ვენა. ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. კრამარის საპასუხოდ გოლუხოვსკიმ სთქვა, რომ ორატორი ტყუილად ჰღალადებს და ურჩევს მთავრობას დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგეს. მთავრობას ამ საქმეს გერმანიის პოლიტიკა უადვილებს. ვერც ერთი მთავრობა პასუხს ვერ აგებს იმ ცნობებისათვის, რომლებსაც გაზეთები ავრცელებენ, მაგრამ საფრანგეთის ერთმა გაზეთმა, რომელსაც პასუხი გასცა „Wien. Abend.“-მა ურიგოდ მოიხსენია სამეფო გვარეულობის წევრნი. „რაც შეეხება ალბანიას, განაგრძო მინისტრმა, ეს საქმე სავსებით გამორკვეულია ჩვენსა და იტალიის შორის. არც ჩვენა და არც იტალიას არა გვსურს მიწა-ადგილის გაფართოვება; ჩვენ ორივეს Status quo-ს მეტი არა გვსურს რა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალიასა და ავსტრ-უნგრეთს შორის შეთანხმება მოხდება, რომელიც განამტკიცებს კარგ განწყობილებას ორ სახელმწიფოს შორის. პომმერის საყვედური ინგლისის სურვილის აღსრულების შესახებ მინისტრმა უარ-ჰყო. შემდეგ მინისტრი შეეხო მეორე საყვედურს და სთქვა, რომ შარშან მხოლოდ 50 ავსტრიელი იქნა გაძევებული პრუსიიდგან; ავსტრიის პროტესტებს ამის გამო კარგი ნაყოფი მოჰყვა; გაძევების მიზეზი ყოველთვის ერთა შორის განხეთქილება არა ყოფილა, ხშირად იგი გამოუწვევია მუშებთა მეტოქობასაო.

ლონდონი. მილნერი 2½ საათზე მოვიდა და სალისბიურსა და ჩემბერლენთან ერთად მალბროუგ-გუზში წავიდა, სადაც მეფემ მიიღო.

მადრიდი. უკანასკნელის ცნობებით, პალატაში 238 კაცი სამინისტროს დასის მომხრე იქმნება და 163 კაცი—ოპოზიციისა.

ლონდონი. მეფემ მილნერს პერის ხარისხი უბოძა.

როგორც კარდიფიდგან იუწყებიან, „უნივერსალ“-ის მადანში, სადაც აფეთქება მოხდა, აქამომდე ხუთი მუშა იპოვნეს მკვდარი. ამ აფეთქებამ ისე ძლიერ დაანგრია მაღარო, რომ მცირე იმედი-ღა აქვთ დანარჩენი მუშების გადარჩენისა.

ტიანძინი. მოკავშირენი ტაკუს სიმაგრეებს ნელ-ნელა ანგრევენ, რადგანაც ეშინიანთ, რომ ახლო შენობებსაც არა ევნოს რა. უკვე ბევრი ზარბაზანი ააფეთქეს დინამიტით.

კაზანი. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და კურსზედ ნახევარ კურსის ეგზამენები დაიწყო. ბევრი სტუდენტი იჭერს ეგზამენს.

გელგრადი. საზღვარზედ ძდგომ დარაჯთა რაზმის უფროსი დეპეშით იუწყება, რომ სერბიის დარაჯნი სერბიის მიწა-ადგილებზედ არნაუტების რაზმს შეხვდა; ბრძოლა მოხდა; ორი სერბიელი ჯარის-კაცი მძიმედ დაიჭრა.

ქრისტიანია. ორმავე პალატამ საბოლოოდ შეიწყნარა კანონი, რომლის ძალითაც საზოგადო არჩევნებში ყოველ მამა-კაცს ექმნება უფლება; ასეთივე უფლება ექნება ყოველ დედაკაცსაც, რომელსაც-კი სოფელში 300 კრონზე ნაკლები შემოსავალი არ ექნება, ან რომელიც ქალაქში 300 კრონზე ნაკლებ გადასახადს არ იხდის. ხმის უფლება ექნებათ ქმრიან ქალებსაც, თუ იმათ ქმრებს ამოდენივე შემოსავალი აქვთ, ან ამოდენსვე გარდასახადს იხდიან.

ვალდენბურგი. გერმანიის მადნებში ცეცხლი გაჩნდა; იპოვნეს ე კაცის გვამი; 18 კაცი ვერ უპოვნიათ.

ლონდონი. „Stand.“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდგან, რომ ინგლისელებმა გელპინს ახლო მიწაში დაფლული 18 ზარბაზანი და 4000 ყუმბარა იპოვნესო.

13 მაისი

კრონშდადტი. ცეცხლმა გადასწვა ოთხი შეშის საწყობი; დაიწვა დიდ-ძალი ხე-ტყე, 5 ნავი, დაიღუპა აგრეთვე ბევრი ღორი და შინაური ფრინველი. ცეცხლის დროს მძიმედ დაშავდა ერთი ზღვაოსანი. ცეცხლი შუაღამისას ჩააქრეს. ზარალი 250000 მანეთზედ არა ნაკლებია. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

ვენა. საბიუჯეტო კომისიაში გარეშე საქმეთა მიმისტრმა, როცა უპასუხებდა პომერს რუსეთთან შეთანხმების მნიშვნელობის შესახებ, აღნიშნა, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ბალკანეთი შეთანხმებამდე, როდესაც ბალკანეთის მცირე სახელმწიფოები აქეზებდნენ ორთავე სახელმწიფოს ერთი მეორეზედ, რამაც სარგებლობა ვერ მოუტანა მშვიდობიანობის საქმესაო. 1897 წელს არ იქმნა დადებული არც ხელშეკრულობა, არც კონვენცია. პატიოსნურმა და გულწრფელმა განმარტებამ ურთ-ერთის მიმართ რწმენა დაჰბადა, რომ ბალკანეთის საქმეებში შეიძლება მორიგებით მოქმედებაო. „ეს ჩვენ მტკიცედ გვწამს, —სთქვა მინისტრმა,—და საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთიც ამავე აზრს ადგია. მაკედონიის უკანასკნელმა მოძრაობამ აშკარად დაგვანახვა, რომ უთანხმოების დროს, საქმეში მონაწილენი იძულებული იქნებიან თვით დაიცვან თავისი ინტერესები“. „სერბიასთან განწყობილება, შეწიშნა მინისტრმა, მეგობრული დარჩება, ვიდრე ამ მეგობრობას ხელს არ შეუშლის რაიმე გარემოება“.

ვალდენბურგი. გერმანიის მადნებში მომხდარ უბედურობის დროს მოკვდა 21 კაცი.

პარიში. გენერალმა ბალიემ ჩინეთს ჯართან ერთად ანპინგთან, პაოტინფუს სამხრეთით, გაჰფანტა ბრბო „დიდი მუშტისა“. ფრანკებს ორი კაცი დაუჭრეს მსუბუქად.

მიდლბურგი. სადგურ გუდვანთან ბურებმა ლიანდაგიდგან გადააგდეს საქონლის მატარებელი; მემანქანე მოკვდა, მისი თანაშემწე დაიჭრა. ბურები განდევნეს, რისგამო სურსათის წაღება ვერ მოასწრეს. ბურების უფროსის ქმა ბენ-ვილეინი ტყვედ იქმნა წაყვანილი.

კენგარდი. საზღვარზე მდგომ სადარაჯო რაზმს, რომელმაც ურმები მიაცილა ჯბინგტონში, უკან დაბრუნების დროს თავს დაესხა ბურების რაზმი, ასი კაცისაგან შემდგარი. ბურები კენგარდტისაკენ მიდიოდნენ ამ ქალაქზედ დასასხმელად. ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ, ისინი უკუ-გდებულ იქმნენ. 15 ბური მოჰკლეს, 17 დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს.

ბერლინი. იმპერატორმა საიმპერიო კანცლერის წინადადებისამებრ უბრძანა ჯავშნიან გემთა ესკადრას ჩინეთიდგან დაბრუნება; შემდეგ ნაბრძანებია, მოისპოს გერმანიის მთავარ-სარდლობა აღმოსავლეთ-აზიაში და შემცირებულ იქმნეს აღმოსავლეთ-აზიის საექსპედიციო კორპუსი.

ვენა. რეკიდგან იუწყებიან, რომ სერბიის მეფისაგან განთავისუფლებული გლეხთა მეთაური რანკო ტაისიჩი, სერბიაში მიმავალი, აქ უეცრად ჭკუაზედ შესცდაო. ტაისიჩს განუზრახავს მაღალის კლდიდგან გადავარდნა, მაგრამ რკინის ბოძებზედ ჩამოკიდებულიყო. ყვირილზე მიეშველნენ და გადაარჩინეს. ტაისიჩი ბელგრადში წავიდა; თან ორი მემამულე ახლავს.

მიდლბურგი. (კაპის ახალშენი). ბურთა რაზმები, რომელნიც ზურის მთებში შეკრებილიყვნენ, გუშინ სამხრეთისაკენ წავიდნენ. მათი რიცხვი 600-დეა. უფროსობს მათ კრუიცინგერი; ბურების რაზმს სდევნის პოლკოვნიკი გორინჯი.

პეკინი. ნ მაისს გამოცემულ ბრძანებაში იმპერატორი აცხადებს, რომ განზრახვა მაქვს შევასრულო ჩემის ხალხის სურვილი და დავბრუნდე პეკინ-ში. იგი უბრძანებს ჩინეთის რწმუნებულთ მალე დაასრულონ სამშვიდობო მოლაპარაკება.

14 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი სახელმწიფო საბჭოს წევრის პოლკოვნევის სახელზე 50 წლის სამსახურის შესრულების გამო და უმაღლესი გრამოტა სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის ივაშჩენკოვის სახელზე, რომელსაც ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნები.

კაზანი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის, უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორებისა და სტუდენტების თანადასწრებით საძირკველი ჩაჰყარეს სტუდენ-ების საერთო სადგომისა.

ხარკოვი. გამოვიდა პირველი ნომერი ახალის გაზეთის „ხარკოვსკი ლისტოკ“-ისა.

ლონდონი. „Daily Mail“-ს ატყობინებენ პარიჟიდგან, რომ საფრანგეთი ძალიან უჭერს მხარს რუსეთის წინადადებას ჩინეთის სესხის შესახებაო.

კონსტანტინეპოლი. ადმირალი ბირილეევი, რუსეთში დაბრუნებისას, სულთანმა მიიღო შჩერბაჩევთან ერთად.

ბერლინი. გრაფი ვალდერზეე იუწყება პეკინიდან: „როგორც რუსეთის ელჩების ცნობებიდგანაა სჩანს, ტუნფუსიანი მცირე ჯარით იმყოფება კანსუს პროვინციაში, სადაც მას თვალყურს ადევნებენ; ხოლო ტუანი 10 მხლებელით მონგოლიაში გაიქცა, სადაც მშვიდობიანობა ჰსუფევს“.

მადრიდი. სენატის არჩევნებში სამინ-სტრო დასმა გაიმარჯვა. როგორც ანგარიშობენ, არჩეულ იქმნება 120 სენატორი სამინისტრო დასიდგან და 30 ოპოზიციიდგან.

ლონდონი. გუშინ საუზმეზე, რომელიც ჩემბერლენმა მილნერის პატივსაცემად გამართა, ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დიდი მადლობა გამოუცხადა მილნერს მოქმედებისათვის და სთქვა, რომ საქმე, რომლის აღსრულებაც დაევალება მილნერს სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნებისას, უფრო საყურადღებო იქმნება, ვიდრე წინანდელია. „მე დარწმუნებული ვარ,—დაუმატა ჩემბერლენმა, რომ სამხრეთ-აფრიკა მაშინ დამშვიდდება სრულიად, როდესაც მილნერი შემოიღებს ახალ წეს-რიგს, რომელსაც შედეგად ორივე ტომის შერიგება და ერთად მოქმედება მოჰყვება; ეს-კი ერთად-ერთი საშუალებაა გაერთიანებულის, თავისუფალის, აყვავებულის და უქვეშევრდომილესის სამხრეთ-აფრიკის ისეთსავე გონივრულ საფუძველზედ დაყენებისათვის, როგორზედაც არიან ავსტრალიისა და კანადის ფედერაციები“. სპასუხო სიტყვაში მილნერმა მადლობა გამოუცხადა საპატიო მიღებისათვის და შემდეგ შეეხო იმ საყვედურს, რომელიც იმის შესახებ გამოთქვა ომის დროს. განსაკუთრებით აღნიშნა ის, რომ მის მიმართ პატივისცემა გამოიწვია საჭიროებამ—დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ თავის მოსამსახურეთ არ იცავს იწვლისი, როდესაც მტერი კარზედ ადგია. დასასრულ მილნერმა სთქვა: „სასაცილოა ის აზრი, ვითომც შესაძლებელი იყო ომის აცთენა, თუ ინგლისი მეტს მშვიდობის მოყვარეობას გამოიჩენდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება დრო, როდესაც სამხრეთ-აფრიკაშიაც შეიძლება ლმობიერი პოლიტიკის დამყარება“.

ჰავრი. აქ მოვიდა ვალდეკ-რუსსო. როდესაც რუსსო ნაპირზედ გადმოვიდა, ვიღაც ერნესტ პარფემ, 20 წლისამ, მეპურის ქარგალმა, ნაციონალისტმა, ფორთოხალი ესროლა, მაგრამ აცდინა. პარფე დაატუსაღეს.

კოვნო. მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა მიერ თანასწორ თავანსაცემელი სასწაულთ-მომქმედი ღვთის მშობლის ხატი გადატანილ იქმნა პოჟაისკის მონასტრიდგან კოვნოში.

წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებ ახუთის საზოგადოების აფთექის პროვიზორს ვლადიმირ ვოლსკის, რომელმაც ამავე საზოგადოების ახლად დაარსებულს ორ-კლასიან სამრევლო სკოლას შემოსწირა: 25 მანეთი ფული, ერთი საკლასო დაფა, ცირებული 8 მანეთად და ამასთანავე ორის წლის (1897 და 1898 წწ.) „ჯვალის“ ნომრები და პატივცემულის მგოსნის აკაკი წერეთლის თთვიური ჟურნალი „კრებული“ 1898 წ.. 11 წიგნი, რისთვისაც მასწავლებელნი და მოსწავლენი სკოლისანნი დიდ მადლობას უძღვნიან.

ახუთის (სამღებრო) ორ-კლასიან სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი თეიმურაზ გ. ჭიპინაძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Мая 1901 г.

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.